პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 ივნისი ხუთშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 139 (15352)

გუშინ თბილისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბიუროს ... დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

ადგილობრივი საბჭოების დიდი ამოცანები

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

14 ივნისის დილის სხდომა

მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის თითქმის ნახევარი გზა განვლილია. საქართველოს მშრომელები კანონიერად ამაყობენ მიღწეული წარმატებებით. მნიშვნელოვან აღმავლობას მიაღწია რესპუბლიკის ინდუსტრიამ. მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქცია შარშანდელთან შედარებით გაიზარდა, გადიდდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოება. წარმატებით ძლევენ ხუსხიანი ზამთრის შედეგებს სოფლის მეურნეობის მშრომელები. ბევრი რამ გააკეთეს მეცნიერებმა, კულტურის მოღვაწეებმა.

დასახული ამოცანის ნახევრის წარმატებით შესრულება ახალ ხტომულს აძლევს დაჩქარებულ წინსვლას გზის მეორე მონაკვეთზე. რესპუბლიკის მშრომელები ღირსეულად აფასებენ მიღწეულს და ამასთანავე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ გადაუჭრელ პრობლემებს, დიდ ამოცანებს, რომლებიც ხუთწლედში უნდა გადაწყვიტონ. მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებაში, სახალხო-სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ". ასრულებენ რა ყრილობის წინასწარდასახულობებს, რესპუბლიკის მრეწველობის მშრომელებმა ვადამდე, 29 მაისს გაანაღდეს პროდუქციის რეალიზაციის ხუთი თვის გეგმა.

რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ საქართველოს დედაქალაქში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში მშრომელთა წარმომადგენლები, რათა განიხილონ საკითხები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ცხოვრებაში, მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო აქტები.

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის პირველი სხდომა დილის 10 საათზე გიორგი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

თავმჯდომარის მაგიდან უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები ბ. ნ. ბრიგალაშვილი, შ. მ. შაკაია, ლ. ა. სოზონოვი.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები მ. ა. ბოგიანოვი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ფ. ი. ლოლაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ა. ნ. ჩიტაია, ბ. ხ. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, ბ. დ. ჯაბაგი, ... შვილი, რ. ვ. მეტრეველი, თ. ი. მოსაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ. მისი წინადადებით სესიის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით სცეს პატივი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გარდაცვლილი დეპუტატების ა. მ. ჭირაქავაძისა და ბ. შ. მიქელაძის ხსოვნას.

მტკიცდება სესიის მუშაობის დღის წესრიგი. სესიის დღის წესრიგში შეიტანეთ შემდეგი საკითხები:

1. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.
2. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტი.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის ანგარიში.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დეპუტატები ამტკიცებენ სესიის მუშაობის რეგლამენტს.

იწყება დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვა. სიტყვა მოხსენებისათვის „მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით" ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს შ. დ. კიკნაძეს.

შემდეგ დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ო. ე. ჩერქეზიშის თანამოხსენება.

მოხსენებისა და თანამოხსენების გამო გაიმართა კამათი.

კამათში გამოვიდა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი.

ცხადდება შესვენება. შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი შ. მ. შაკაია. კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ბ. ა. ჯოხთაბერიძე (თბილისის საარჩევნო ოლქი, ქ. სოხუმი), აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. მ. დავითაძე, დეპუტატები ბ. ა. ბაზაევი (ლენინის საარჩევნო ოლქი, ქ. ცხინვალი), ლ. ა. ნიშნიანიძე (ძერჟინსკის საარჩევნო ოლქი, ქ. ქუთაისი), ო. ა. ბელოგოროდოვა (ვაჟა ფშაველას საარჩევნო ოლქი, ქ. რუსთავი), ბ. ა. ნატროშვილი (მანგაის საარჩევნო ოლქი, საგარეჯოს რაიონი), ვ. ა. დურბარიანი (ბოგდანოვკის საარჩევნო ოლქი, ბოგდანოვკის რაიონი), დ. ხ. მჟელიძე (გოგებაშვილის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი).

ხალხის რჩეულნი ღრმად და ყოველმხრივ განიხილავენ ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის დიდმნიშვნელოვან საკითხებს პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით. ადგილობრივი საბჭოები, აღნიშნეს დეპუტატებმა, უდიდესი პოლიტიკური ძალაა, რომელთა აქტიური ორგანიზატორული, კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მიღწევის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში სხვა დიდმნიშვნელოვან სახალხოსამეურნეო პრობლემებთან ერთად, რომლებიც მეცხრე ხუთწლედში უნდა გადაიჭრას, დიდი ყურადღება ეთმობა მოსახლეობაში კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას.

ხალხის კულტურის, მისი განათლების ამაღლება, ახალი ადამიანის — კომუნიზმის აქტიური მშენებლის ფორმირება საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ასრულებენ რა სკკპ პროგრამის მითითებებს, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა შესაბამისად გააქტიურეს საქმიანობა, გაუმჯობესეს მასებში მუშაობა, გაძლიერეს ყურადღება მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, მათი კულტურული დონის ამაღლების საკითხებისადმი. საბჭოები უფრო ღრმად სწვდებიან ახალგაზრდობასთან, მოზარდებთან მუშაობის საკითხებს.

დეპუტატებმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების დარგში.

დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა საბჭოებმა უფრო ფართოდ გამოიყენონ მინიჭებული უფლებები, აამაღლონ პასუხისმგებლობა საბჭოთა კანონების უმკაცრესად დაცვისა და შეხრულებისათვის, მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის. საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები, მუდმივი კომისიები და დეპუტატები შეურიგებელნი უნდა იყონ საზოგადოებრივი წესრიგის ყოველგვარი დარღვევისადმი, მეტად ზრუნავდნენ მოსახლეობის საერთო სამართლებრივი კულტურის ამაღლებისათვის, აცნობდნენ მას საკანონმდებლო აქტებს. სესიაზე აღინიშნა, რომ ბევრმა საბჭომ მიიღწია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა სრულ ლიკვიდაციას. ეს მოწმობს, რომ აქ დიდად ზრუნავენ ადამიანთა აღზრდისათვის, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის, შეძლეს შეექმნათ კანონების დარღვევებისადმი, კომუნისტური მორალის ნორმებისაგან ყოველგვარი გადახვევისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროდ. დადებით მაგალითებთან ერთად დეპუტატებმა აღნიშნეს ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებებიც, დასახეს მათი აღმოფხვრის გზები.

ამით საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დილის სხდომა დახურულად გამოცხადდა.

14 ივნისის საღამოს სხდომა

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი ბ. ნ. ბრიგალაშვილი.

დეპუტატები კვლავ იხილავდნენ მოხსენებასა და თანამოხსენებას სესიის დღის წესრიგის პირველი საკითხის გამო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები ხ. ზ. ბოგიანაშვილი (შილდის საარჩევნო ოლქი, ყვარლის რაიონი), მ. შ. გვიჩიანი (მესტიის საარჩევნო ოლქი, მესტიის რაიონი), ნ. კ. კახელი (ზედა საქარის საარჩევნო ოლქი, ზესტაფონის რაიონი), ე. ა. შეკარდნაძე (მარნეულის საარჩევნო ოლქი, მარნეულის რაიონი), ე. ბ. სუბგულაძე (ვაჟა ფშაველას საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), მარნეულის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. ულუიევი, დეპუტატები ვ. თ. თოდუა (დიდი ჭყონის საარჩევნო ოლქი, ფოთის რაიონი), ი. ბ. ბამიკელი (ყორბოულის საარჩევნო ოლქი, ხაჩიერის რაიონი).

მათ აღნიშნეს, რომ საბჭოებს, როგორც სახალხო ხელისუფლების ორგანოებს, უდიდესი შესაძლებლობანი აქვთ, რათა ეფექტიანი გავლენა მოახდინონ კომუნისტური მშენებლობის ყველა სფეროზე.

დეპუტატებმა განსაკუთრებული გრძნობით ილაპარაკეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის მოახლოებულ დღესასწაულზე. მათ აღნიშნეს, რომ იუბილესთვის მზადება საბჭოებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ მთელი კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისა და მათი შრომითი აქტივობის ამაღლებისათვის.

კამათი დღის წესრიგის პირველ საკითხზე მთავრდება.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის საბჭოთა კავშირის საქმიანობა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით".

საღამოს სხდომა დახურულად ცხადდება. 15 ივნისს უმაღლესი საბჭო მუშაობას განაგრძობს.

(საქინფორმი).

თბილისი. 1972 წ. 14 ივნისი. ხუთშაბათი: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მერვე მოწვევის მესამე სესიის სხდომათა დარბაზში.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს

პირუტყვის მაღალსაროსნოვანი ნაკვების ნარმოების გაფართოებისათვის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით დამტკიცებულია პირუტყვის მაღალსაროსნოვანი საკვების წარმოების გადიდებისათვის რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოციალისტური შეჯიბრების ახალი პირობები.

სოფლის მეურნეობის კოლექტივების, მუშების, მოსამსახურეებისა და სპეციალისტების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის ამაღლების მიზნით, შეჯიბრების გამარჯვებულთა წასახალისებლად დამტკიცებულია გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები:

რაიონებისათვის — გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია 3 ათასი მანეთის ოდენობით, მეორე პრემია — 2 ათასი მანეთი და მესამე პრემია — 1000 მანეთი;

კოლმეურნეობებისათვის — გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია, ორი მეორე და სამი მესამე ფულადი პრემიები;

საბჭოთა მეურნეობებისათვის — გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია, მეორე და მესამე ფულადი პრემიები.

სოციალისტური შეჯიბრების პირობებით რესპუბლიკის რაიონებისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის გათვალისწინებულია ყველა სახეობის მაღალსაროსნოვანი საკვების თესვის, მოსავლიანობისა და დამზადების გეგმების გადაჭარბებით შესრულება, მათი წარმების ოვითღირებულების შემცირება, სახელმწიფოსთვის თივის ჩაბარების დარეგი დავალებათა წარმატებით განადგურება. შეჯიბრებაში გამარჯვებულნი ვალდებულნი არიან განახორციელონ პირუტყვის საკვების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი, აქტიურად დანერგონ პროგრესული მეთოდები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სენაჟის, ვიტამინიზებული საკვების, თივის ფქვილის, აქტიური ვენტილაციით თივის დამზადებას, ღორებისათვის კომბინირებული სილოსის მომზადებას. მეცხოველეობის ფერმებთან უნდა ამენდეს სახილოსე და სენაჟის კუმბოები, ორმოები, მოწყობილ საკვების გადასამუშავებელი საამქროები.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა სწორად აღრიცხონ, შეინახონ და რაციონალურად გამოიყენონ, საკვები, გახარბიელონ მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების ღონისძიებანი, რათა საზოგადოებრივი მეურნეობანი უზრუნველყონ საკუთარი წარმოების საკვები კულტურებს თესლით და სხვ.

გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების მინიჭება გამარჯვებულთათვის, დაწყებული 1972 წლიდან, მოხდება წელიწადში ერთხელ 1 ნოემბრის მდგომარეობით, საბუღალტრო და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე.

რაიონებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს განიხილავენ და შეაჯამებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადების სამინისტროები, და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, რომლებიც თავიანთ წინადადებებს გამარჯვებულთა დაჯილდოების შესახებ წარუდგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს განიხილავენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები. მათი წარდგინებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო და შინაგან საქმეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი თავიანთი დადგენილებით გარდამავალ წითელ დროშებსა და ფულად პრემიებს მიანიჭებენ დაქვემდებარებულ მეურნეობებს.

ფულადი პრემიები მიეცემათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საბჭოთა მეურნეობებს მათი ზეგეგმითი მოგებიდან ან ზეგეგმითი კეთილობის ხარჯზე.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წინადადება მიეცეს ყოველწლიურად გაითვალისწინოს რესპუბლიკის ბიუჯეტით სახსრები რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისა და კოლმეურნეობების დასაჯილდოებლად. (საქინფორმი).

ხუთწლედის მოწინავეთა პაჭრიოჭული თაოსნობა

რესპუბლიკის დედაქალაქის უძველესი სარეწველო საწარმოს — თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი, რომელიც ერთგულად იცავს თავის რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებს, წარმატებით იბრძვის, რათა განახორციელოს მიმდინარე ხუთწლედის მეორე წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. თუმცა საწარმოში დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოები წარმოებს. აქ მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ.

მიმდინარე წლის დამდეგისთანავე ქარხნის მუშაკებმა ჩინებული სტარტი აიღეს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ქარხნის ყოველ მუშაკს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეხვდეს ღირსშესანიშნავ თარიღს ახალი შრომითი წარმატებებით.

ამაზე იყო ლაპარაკი ქარხანაში 14 ივნისს საწარმოს კოლექტივის საერთო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის განხილვას.

კრებაზე ინფორმაცია გააკეთა ქარხნის უფროსმა ა. მასხარაშვილმა. საწარმოს კოლექტივმა, თქვა მან, გააღიდა ხუთი თვის დავალება და ამით საიმედო საძირკველი ჩაუყარა იმას, რომ ღირსეულად შეასრულოს თავისი სიტყვა და დაამთავროს წლიური პროგრამა ვადამდე — 21 დეკემბრისათვის. კარგად მიდიოდა ქარხანაში საქმეები ივნისის პირველ დღეებშიც. ეს კიდ, რომ მუშაობის ზუსტი რიტმი დაარღვია კოკისპირულმა წვიმამ, რომელიც 7 ივნისს მოვიდა თბილისში. წვიმამ განსაკუთრებით დააზარალა სამსახმელო, ელექტროსამანქანო, თვლებისა და ურიკების საამქროები, ტრანსფორმატორული ქვესადგური, ორთოლის საქმაბე, მატერიალური საწყობები. მწყობრიდან გამოვიდა ელექტრომოწყობილობა, ელექტროძრავები, ასამუშავებელ-სარეგულაციო აპარატურა, დაკვა, ვამოსაცდელი სადგურები. შედეგად, ქვეშით და ღორღით ამოიფსო საკანალიზაციო მილები, რის გამოც ქარხნის ტერიტორიაზე შემოიჭრა. საკაბელო არხებით წყალი ტრანსფორმატორულ ქვესადგურში და საკომპრესორო განყოფილებაში შვიდდა. წყლით დატბორილი და შლამით დაფარული აღმოჩნდა საკომპრესოროს მძლავრი სინქრონული ელექტროძრავები და ორთოლის საქმაბის ტუმბოები, მწყობრიდან გამოვიდა გარეთა ელექტრომომარაგების კაბელები. ყოველივე ამან საფრთხე შეუქმნა როგორც ამ თვის, ისე ნახევარი წლის გეგმების შესრულებას.

მაგრამ ქარხნის კოლექტივმა მართალია რომ თავი გამოიჩინა კოკისპირული წვიმის შედეგების აღმოფხვრისათვის ბრძოლის საერთო საქმეში. უწესივრობანი ძირითადად მალე აღიკვეთნა. და ახლა კრებაზე გამოსულებმა თქვეს, რომ მტკიცედ აქვთ ვადაწყვეტილი მოლიანად აღმოფხვრან ყოველგვარი დაზიანება.

— ჩვენ ყველანი სერიოზულად ვფიქრობთ, თუ როგორ შევასრულოთ უთუოდ ივნისისა და ნახევარი წლის გეგმები, — თქვა ენერგოძალური საამქროს მეცეცხლურმა უ. ჩაფუნდმა. — მაგრამ ჩვენმა ამხანაგებმა უკვე დაამტკიცეს, რომ მათ იციან წარმატებით ბრძოლა სიძნელეთა წინააღმდეგ. ქარხნის მეშკაკები, ყველანი როგორც ერთი, დაუზოგავად იღებენ ნორმალური რიტმის აღსადგენად. მაგალითად, ჩვენს საამქროში დაზიანებათა აღმოფხვრის სამუშაოები 16 ივნისისათვის დამთავრდება. ამავე დღისათვის აღვადგენთ საკაბელო მეურნეობას. ჩვენ გადავბედეთ პირად სოციალისტურ ვალდებულებებს და შევუსაბამეთ ქარხნის დღევანდელ მოთხოვნებისა. მთელ სარემონტო და პროფილაქტიკურ სამუშაოებს შემჭიდროებულ ვადებში დავამთავრებთ, მივაღწევთ მოწყობილობის გამოყენების მაღალ ეფექტიანობას, რათა აუცილებლად შევასრულოთ როგორც ივნისის, ისე ნახევარი წლის გეგმები.

სამეცნიერო საამქროს მწყობავმა ტ. ტოკლიკიძემ განაცხადა:

— ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა სტიქიამ ვერ ჩაგვიშალოს გეგმები. კიდევ უფრო ზუსტად ვიმუშაკებთ, ხუთი დღის დავალებას ოთხ დღეში შევასრულებთ, გავაუმჯობესებთ პროდუქციის ხარისხს, მკვეთრად შევამცირებთ წუნს. მაღალი შრომის ნაყოფიერება მისი სანიმუშო ორგანიზაციის საფუძველზე — აი ამოცანა, რომლის გადაწყვეტასაც ვპირებთ.

თვლების — სახარატო საამქროს უფროსმა ვ. არგინიანმა და სამგზავრო ვაგონების საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის სელმძღვანელმა ვ. კუპრაძემ თქვეს, რომ საჭიროა კიდევ უფრო ზუსტად ააწყონ წარმოების ყველა რგოლის მუშაობა, შეტი ძალით გააჩაღონ საამქროთა, ბრიგადათა, ცალკეულ მუშათა სოციალისტური შეჯიბრება, რათა თითოეულმა მაქსიმალურად დიდი წვლილი შეიტანოს გეგმების შესრულებაში.

კრებაზე ნაკისრი ვალდებულებები, გარდა ამისა, ნათქვამია, რომ თვლების — სახარატო საამქროს აამუშავებენ 17 ივნისს, რკინიგზის მისასვლელ შტოებს — მეორე დღეს, დაამთავრებენ წარმოების კულტურის ამაღლების სამუშაოებს. ყოველივე ეს სამუალებას მისცემს ქარხანას თვის ბოლომდე აღმოფხვრას გეგმაში სამდღიანი ჩამორჩენა და წარმატებით შეასრულოს ივნისისა და ნახევარი წლის პროგრამა.

...ამავე დღეს კოლექტივის საერთო კრება გაიმართა აგრეთვე თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენში. კრების მონაწილეებმა იმსჯელეს, თუ როგორ სრულდება მიმდინარე წლის სოციალისტური ვალდებულებანი, და აღნიშნეს გადაყვანის პროცესის კომპლექსის ყველა იმ რგოლის ნაყოფიერი მუშაობა, რომლებმაც უზრუნველყვეს მგზავრთა მოსახურების მაღალი კულტურა.

მუშაობის ჩვეული ზუსტი რიტმი აქაც დაარღვია სტიქიამ, ელექტროდენისა და ოქტომბრის სადგურებს შორის წყალი გვირაბში შევიდა. წყალმა დააზიანა სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობა, ენერგომომარაგება, სალიანდაგო მეურნეობა, წყალსაქცევი დანადგარები. მატარებლების მოძრაობა დროებით შეწყდა. სადგურები რამდენიმე საათის განმავლობაში არ იღებდნენ მგზავრებს.

მაგრამ მეტროპოლიტენელთა კოლექტივმა რესპუბლიკისა და ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით უაღრესად მჭიდრო ვადებში აღადგინა მატარებლების მოძრაობა. დიდი მოცულობის სამუშაოები განახორციელეს, რათა წყალი ამოეტუმბათ სვესკალატორო სადგურებიდან, ბაქნის ქვეშა სათავსოებიდან, სადაც განლაგებულია ტექნოლოგიური მოწყობილობა, შეცვალეს ხატუმში სადგურების, ვენტილაციის 15 ძრავი, საინერგ გადაყვანის ათი ამძრავი, გვირაბი გაწმინდეს შლამისა და სილისაგან. ყოველივე ამან უზრუნველყო მატარებლების ნორმალური მოძრაობა.

ახლა კოლექტივი განაგრძობს ბრძოლას წვიმის შედეგების სრული ლიკვიდაციისთვის. ამოწმებენ და ცდიან ძრავებსა და საკაბელო მეურნეობას, ცვლიან კაბელის დაზიანებულ მონაკვეთებს, არემონტებენ ნაგებობებს, სანიტარიულ-ტექნიკურ მოწყობილობას, წმენდენ საგენერატორო შახტებს, აღადგენენ განათებას და სხვ. აქ შედგენილია იმ აღდგენითი და პროფილაქტიკური სამუშაოების ოპერატიული გეგმა-გრაფიკი, რომლებიც ძირითადად ივნისის დამლევამდე უნდა დამთავრდეს.

იმაზე, რომ მეტროპოლიტენის კოლექტივს განზრახული აქვს ზუსტად დაიცვას გათვალისწინებული ვადები, კრებაზე ილაპარაკეს მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ვ. გაგნიძემ, სალიანდაგო დისტანციის უფროსმა კ. ბეგალიშვილმა, ელექტრომატარებლის მემანქანემ რ. ნოდიამ, უფროსმა ელექტროდისპეტჩერმა ტ. ხუკუამ, გვირაბების, შენობებისა და ნაგებობების ოსტატმა ვ. ქოქოსაძემ, თავიანთი ამხანაგების სახელით მათ პირობა დადეს, რომ შეასრულებენ ივნისისა და ნახევარი წლის გეგმებს.

* * *

ელექტროვაგონშემკეთებელთა და მეტროპოლიტენელთა კრებების მონაწილეებმა მოუწოდეს თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა ყველა კოლექტივს უპირველეს ხანში აღმოფხვრან წვიმით გამოწვეული დაზიანებანი, მიაღწიონ წარმოების მაღალ კულტურას, უზრუნველყონ ივნისისა და ნახევარი წლის გეგმების უთუო შესრულება, გააგრძელონ სსრ კავშირის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის მეჯიბრების რიგები. (საქინფორმი).

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ბირმის ვაჭრობის მინისტრი

13 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ბირმის სოციალისტური პროგრამის პარტიის ცენტრალური კომიტეტის რევოლუციური საბჭოსა და აღმასკომის წევრი, ბირმის კავშირის ვაჭრობის მინისტრი დოქტორი მაუნგ ლვინი, რომელიც მოსკოვში იმყოფება საბჭოთა კავშირ-ბირმის საავაჭრო მოლაპარაკებათა დაკავშირებით.

მეგობრული საუბრის მსვლელობაში შეეხნენ მთელ რიგ საკითხებს ორ ქვეყნის შორის ურთიერთობის განვითარების შესახებ, მათ შორის საგაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი გაფართოების საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის შ. დ. კიკნაძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის განსახილველად შემოაქვს საკითხი „მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“.

საბჭოს, რომლებიც ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძველია და რომლებიც ყველაზე სრულად გამოხატავენ მის დემოკრატიულ ხასიათს, დიდი როლი ეკუთვნის პარტიის XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული საბჭოთა საზოგადოების ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების პროგრამის განხორციელებაში.

როგორც სკკპ XXIV ყრილობაზე აღინიშნა, საბჭოების მუშაობა უკანასკნელ ხანს უფრო აქტიური და მრავალმხრივი გახდა. ყველა საბჭო — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოდან დაწყებული და სასოფლო და სადაბო საბჭოებით დამთავრებული — უფრო ეფექტიანად ახორციელებს თავის მაღალ ფუნქციებს, უკეთ იყენებს უფლებამოსილებას, რომელიც მათ კონსტიტუციამ და სხვა კანონებმა მიანიჭეს.

ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება საბჭოების როლის ამაღლებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ 1967 წლის 8 მარტსა და 1971 წლის 5 მარტს მიღებულმა დადგენილებებმა აგრეთვე ზემდგომი ორგანოების მიერ შეშუშავებულმა სხვა ღონისძიებებმა გააფართოეს სასოფლო, სადაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოების უფლებები.

დიდი ღონისძიებანი განხორციელდა და ხორციელდება საბჭოების აღმასკომების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცების, აღმასკომების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისა და მათი მუშაკების მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის.

1968-71 წლებში 531 სასოფლო და სადაბო საბჭო უზრუნველყოფილ იქნა კეთილმოწყობილი ბინებით. უახლოეს წლებში კი ასევე უზრუნველყოფილი იქნება 250 სასოფლო და სადაბო საბჭო და ამით ძირითადად გადაწყდება საკითხი რესპუბლიკის ყველა სასოფლო, სადაბო საბჭოს შეიარაღრისი ბინით დაკმაყოფილების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად 1972 წლის 1 იანვრისათვის სასოფლო (სადაბო) და რაიონული დაქვემდებარების საქალაქო საბჭოების ბიუჯეტებზე გადაცემულ იქნა 3.255 დაწესებულება-ორგანიზაცია და შეიქმნა 986 ცენტრალიზებული ბუღალტერია.

„მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ასევე გადაეცათ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მთელი რიგი საწარმოები ქ. თბილისში, გორში, თერჯოლის, ლანჩხუთის, ზესტაფონის, მცხეთის, გურჯაანისა და ბარდანის რაიონებში. ამ აღმასკომებს ასევე გადაეცა აგრეთვე კინემატოგრაფის სახელმწიფო კომიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი კინოფესტივალი. ყოველივე ეს მათ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს.

საოლქო, საქალაქო, რაიონულმა, სასოფლო და სადაბო საბჭოებმა ამ ბოლო ხანს გააძლიერეს კონტროლი კანონების განხორციელებისადმი, სასაულო მეურნეობის მათდამი დაქვემდებარებულ წარმოებათა მუშაობისადმი, საწარეწიო და კულტურული მშენებლობის ძირითად უბნებზე საქმის ვითარებისადმი, რასაც ხელი შეუწყო ამ საბჭოების ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლებამ, დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების მუშაობის გაუმჯობესებამ.

დღეისათვის ადგილობრივ საბჭოებში შექმნილია 6.984 მუდმივი კომისია, რომლებშიც არჩეულია 40.971 დეპუტატი. მუდმივი კომისიების მუშაობაში ჩაბმულია 15.146 აქტივისტი.

გარდა ამისა, ადგილობრივ საბჭოებთან შექმნილია 27.353 საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელთა მუშაობაში აგრეთვე ჩაბმულია 279.016 კაცი.

ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების რაოდენობის გადიდება და უფლებების გაფართოება, მათი საქმიანობის უფრო გეგმაზომიერი ორგანიზაცია დეპუტატებს საშუალებას აძლევს გამოიჩინონ მეტი ინიციატივა, უფრო ღრმად ჩასწვდნენ აღმასრულებელი ორგანოების მუშაობას და დაეხმარონ მათ მნიშვნელოვან საქმეთა გადაწყვეტაში.

როგორც მოგეხსენებათ, ამჟამად შეიქმნა ეკონომიური წინამძღვარები, რათა წინა პლანზე ხუთწლედის მთავარ ამოცანად დაეყენონ ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება.

„საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე, — თქვა ამხანაგმა ბრეჟნევმა სკკპ XXIV ყრილობაზე, — პარტია და სახელმწიფო ყველაფერს აკეთებდნენ იმ მიმართულებით, რის გაკეთებაც შეეძლოთ, მაგრამ ხანგრძლივი დროის მანძილზე გარკვეული ისტორიული მიზეზების გამო ჩვენი შესაძლებლობანი შეზღუდული იყო. ახლა კი შესაძლებლობანი სერიოზულად გაფართოვდა და ეს საფუძველს აძლევს პარტიას დააყენოს საკითხი, რათა კიდევ მეტად წარმართოს სამეურნეო მშენებლობა ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

პარტია ხელმძღვანელობს აგრეთვე იმით, რომ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება თვით ჩვენი სამეურნეო განვითარების სულ უფრო მტკიცე მთახრთნელება, წარმოების სწრაფი ზრდის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური წანამძღვარი ხდება“.

ამ ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით დიდი სახრუნვი აქვთ ადგილობრივ საბჭოებს, დეპუტატებსა და მუდმივ კომისიებს. ყოველივე ეს კანონზომიერი შედეგია იმ მაღალი მოთხოვნებისა, რომლებსაც საბჭოებს უყენებენ კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე პერიოდი და ხელისუფლების ორგანოებისათვის მინიჭებული ფართო უფლებები.

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის დონის ამაღლება ბევრად არის დამოკიდებული მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაზე, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განვითარებაზე.

მეცხრე ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში მძიმე ინდუსტრიასთან ერთად შემდგომ განვითარდება მსუბუქი და კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობის ყველა დარგი. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 23 პროცენტით გაიზრდება. დასახულია ჩაის ფოთლის წარმოება გადიდდეს 272 ათას ტონამდე. მრეწველობა მიერ სოციალისტურ შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებებით კი 300 ათას ტონამდე. საგრძნობლად გადიდდება აგრეთვე ყურძნის, ხილის, ციტრუსების, მარცვლეულის, ბოსტნეულისა და სხვა პროდუქტების წარმოება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას, პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდას.

ამ ამოცანათა გადაწყვეტაში თვალსაჩინო როლი უნდა შეასრულონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა.

დიდად გაიზარდა საბინაო მშენებლობის მასშტაბები. ჩვენი რესპუბლიკის ყოველ ქალაქში, დაბასა თუ სოფელში ნახავთ ასაღ თანამედროვე საცხოვრებელ ბინებსა და რაიონებს. მარტო ბოლო ხუთწლედში საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში საერთო-პლოტაციოდ გადაეცა 8 მილიონ 700 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები— 814 ათასი კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლეულში.

ახალ ხუთწლედში კიდევ უფრო ფართოდ გაიშლება საბინაო მშენებლობა.

მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება, საბინაო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მოსახერხების გაუმჯობესება ახალ მოთხოვნებს აყენებს საბჭოთა აღამიანის კულტურისა და განათლების დონის, მისი ცოდნის პოროზონტის შემდგომი გაფართოების თვალსაზრისით.

მიმდინარე ისტორიულ ეტაპზე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების წინაშე, შეიძლება ითქვას, დასმულია ორი მთავარი ამოცანა. ეს არის სოციალისტური ეკონომიკის ზრდა და ამ საფუძველზე საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება და ახალი, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდა. ეს არის ერთიანი პროცესი: კომუნისტური მშენებლობის დროს იცვლებიან თვით ადამიანები, იცვლება მათი ფსიქოლოგია და ჩვეულება, იწრთობა ახალი სახეობი. თავრ მრავ, ფართო მასების კომუნისტური შეგნების ზრდა ამაღლებს მათს შრომითს და პოლიტიკურ აქტივობას და, მაშასადამე, აჩქარებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პროცესს.

ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული. ახლა საქართველოში არის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი; მათ შორის 259 კულტურის სახლი, 1.717 კლუბი, 74 მუზეუმი, 131 მუსიკალური სკოლა და სასწავლებელი, 22 პროფესიული და 37 სახალხო თეატრი. მეცხრე ხუთწლედში გაიხსნება 826 ბიბლიოთეკა და კულტურის სახლი. ამჟამად უკვე გვაქვს სამი ათას ხუთასზე მეტი ბიბლიოთეკა, და მათი წიგნის ფონდი ოცდაერთ მილიონ ტომს აღემატება.

1971 წელს რესპუბლიკის საკლუბო დაწესებულებებში იყო მხატვრული თვითმოქმედების 13.285 კოლექტივი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო, სპორტული და სხვა წრეები და სექციები, რომლებშიც გაერთიანებული იყო 220.385 კაცი. მარშან წაკითხული იქნა 57.408 ლექცია და მოხსენება. მხატვრული თვითმოქმედების ანსამბლების ძალებით გაიმართა 34.847 სპექტაკლი-კონცერტი, განხორციელდა 28.339 სხვა სახის მასობრივი ღონისძიება, მათ შორის თეატრული და კითხვა-პასუხის საღამოები.

მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიებანი განახორციელეს მახარაძის, ცხკაიას, ზესტაფონის, გორის, გურჯაანის, ჩოხატაურის, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონების კულტურის სახლებმა.

მნიშვნელოვან კულტურულ-აღმზრდელობითს მუშაობას ეწევიან სასოფლო კულუბები. ამჟამად რესპუბლიკის კლუბებში არის ხალხური შემოქმედების 4 ათასზე მეტი კოლექტივი და ფრე, რომლებშიც გაერთიანებულია 100 ათასზე მეტი წევრი, აქედან 30 ათასი მოსწავლეა.

ფოლკლორული ანსამბლები სარგებლობენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორის, რუსთავის, თელავის, ახალციხის, ბორჯომის, ბოლნისის, ადაგენის, გურჯაანის, ზესტაფონის, მახარაძის, გაგრის და სხვა ბიბლიოთეკები.

მაგრამ ამ დარგშიც გვაქვს ნაკლოვანებანი. ადგილობრივი საბჭოები ჯერ კიდევ ნაკლებ დახმარებას უწევენ ბიბლიოთეკებს. ზოგიერთი რაიონის, როგორიც არის დმანისის, ქარელის, კასპის, ლენინგორის, მარნეულის, და სხვა რაიონები, მთელ რიგ სოფლებში ბიბლიოთეკები მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში, ცუდად არის დაწესებული მკითხველთა მომსახურება, არ ეწყობა მოძრავი ბიბლიოთეკები ფერმებში, ტრაქტორისტთა და მემინდვრეთა ბრიგადებში. ზოგიერთ რაიონში ბიბლიოთეკებს ხსნიან იქ, სადაც ეს არც თუ ისე აუცილებელია, მაგალითად, ქარელის რაიონის ბრეთის სასოფლო საბჭოში ბიბლიოთეკა არის, მაგრამ რატომღაც აქ დამატებით გაიხსნა კიდევ სამი ბიბლიოთეკა კერძო სახლებში, მაშინ როცა ამავე რაიონის სოფლებში დვანსა და ურბნისში, რომლებიც აგრეთვე სასოფლო საბჭოების ცენტრებიც არიან და მოსახლეობაც 2000-2000 კაცს შეადგენს, საერთოდ არ არის ბიბლიოთეკა.

ასეთივე მდგომარეობაა ჩხორწყუს რაიონშიც.

1971 წლისათვის 92 სასოფლო საბჭოს ცენტრი დატოვებული იყო უბიბლიოთეკოდ, საერთოდ კი რესპუბლიკის 419 დიდ დასახლებულ პუნქტში არ არის ბიბლიოთეკა.

ადგილობრივმა საბჭოებმა ისე უნდა წარმართონ მუშაობა, რომ თვითეული დასახლებული პუნქტის, თვითეული საწარმოს თუ დაწესებულების, კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს შეეძლოთ მოისმინონ კვალიფიციური ლექციები, მოხსენებები, მიიღონ საჭირო კონსულტაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.

საგარეჯოს, გარდაბნის და სხვა რაიონებში მეცნიერული და ბაქენიკური ღონისძიების პრობაგანდის გაფართოების ფორმა გახდა მკითხველთა კონფერენციები, აგრეთვე საკლუბო საღამოები, რომლებიც ეძღვნება მემინდვრეებს, მეცხოველეებს, მექანიზატორებს, მოწინავე ბრიგადებს, ოგოლებს, ანდა ცალკეულ წარჩინებულ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს. ამ საღამოებზე მოსმენებებსა და ლექციებს კითხულობენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, დამსწრეთ თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ ნოვატორები, ეწყობა სოფლის მეურნეობის მოწინავეებისადმი მიძღვნილი გამოფენები, მეეიერულ-პოპულარული და მხატვრული ფილმების ჩვენება. ეს დადებითი გამოცდილება უნდა გაიზიარონ სხვა რაიონებმაც.

როგორც ცნობილია, ლენინს ხელოვნების ყველა დარგს შორის კინო მიაჩნდა მასების აღზრდის ყველაზე ძლიერ საშუალებად, ამიტომ გასაგებია ის დიდი ყურადღება, რასაც პარტია იჩენს ხელოვნების ამ დარგის განვითარებისა და ხალხის კინომსახურების გაუმჯობესებისადმი.

ჩვენს რესპუბლიკაში კინოსურათებს უჩვენებს 1.859 სტაციონარული და მოძრავი კინოდანადგარი. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამჟამად რესპუბლიკას 1.152 დასახლებული პუნქტი მოკლებულია კინომომსახურებას. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით ჩვენს რესპუბლიკაში ყოველ 10.000 მცხოვრებზე მოდის 3,9 კინოდანადგარი, ხოლო სსრ კავშირში — 6,5. საქართველოში ერთი კაცი წლის მანძილზე საშუალოდ ისწრება 12 კინოსურათს, მაშინ როცა საბჭოთა კავშირის მასშტაბით ეს მაჩვენებელი აღწევს 19-ს.

ეს მაჩვენებლები კომენტარს არ საჭიროებს. ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოთ ყველა დასახლებული პუნქტი კინომომსახურებით.

ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ყოფაში მტკიცედ დამკვიდრდა ტელევიზია. სულ უფრო იზრდება მისი მნიშვნელობა მშრომელთა კულტურული აღზრდის საქმეში.

დღეისათვის რესპუბლიკაში რეალიზებულია 500 ათასზე მეტი ტელევიზორი, მათ შორის სოფლად — 200 ათასამდე.

კომუნისტური მშენებლობის პირობებში განუზომლად იზრდება ლიტერატურისა და ხელოვნების როლი კომუნისტური მსოფლმხედველობისა და მორალის ჩამოყალიბებაში. ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ დროს შეიქმნა ბევრი კარგი ნაწარმოები, რომლებიც სიმართლით და მაღალმხატვრულად ასახავენ მდიდარ და მრავალფეროვან სოციალისტურ სინამდვილეს. ბევრი ჩვენი მწერალი და მხატვარი პარტიული მაზნეებარებით მიმართავს თანამედროვეობის ამაღელვებელ თემებს. მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოქმედებითად ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა, რაც ძალიან სასიხარულო მოვლენაა.

მაგრამ შექმნილი მხატვრული ნაწარმოებებიდან ყველა რიგი აკმაყოფილებს საბჭოთა ადამიანების გაზრდილ მოთხოვნილებას. ცალკეული ნოველები, ფილმები, სპექტაკლები სრულად ვერ ასახავენ ჩვენს სინამდვილეს. ზოგჯერ საზოგადოებრივი განვითარების თავადარი მიმართულებებიდან მკითხველთა და მაყურებელთა ყურადღებას მიაპყრობენ ცხოვრების მეორეხარისხოვან მოვლენებს.

ადგილობრივი საბჭოები დიდ მუშაობას ეწევიან ადამიანთა არა მარტო სულიერი, არამედ ფიზიკური აღზრდისთვისაც და ამ დარგში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული ჩვენს რესპუბლიკაში.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურასა და სპორტს მისდევს მილიონ 170 ათასზე მეტი ვაჟაცი და ქალიშვილი, ხოლო 1975 წლისათვის მათი რიცხვი მილიონ 210 ათასამდე გაიზრდება. სასიხარულოა, რომ ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეში ჩვენს რესპუბლიკას წამყვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის მომავალ რესპუბლიკათა შორის. გასული წლის შედეგებით რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაცია მეკამეტეჯერ დაჯილდოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და სპეციალური ვიმპელით.

„მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის“ ახალი ნორმატივების ჩაბარებაში უკვე ჩაება 50 ათასი კაცი.

მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი რადია. ცალკეულ რაიონებსა და სოფლებში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო ჯერჯერობით ყურადღებას არ აქცევს. ამის დამადასტურებელი მაგალითის მოყვანა შეიძლება გეგეჭკორის, მცხეთის, სამურის და მახარაძის რაიონების ზოგიერთი სოფლიდან.

სპორტული ბაზების კეთილმოწყობას საკრთო ყურადღებას არ აქცევს ქ. თბილისის ზოგიერთი საწარმო და ორგანიზაციაც. სპორტული ბაზა, რომელიც კიროვის სახელობის ქარხანას ეკუთვნის, ერთ დროს საუკეთესოდ ითვლებოდა. დღეს კი იგი სავალალო მდგომარეობაშია, ფეხბურთის მოედნის ნაწილი დაკავებულია საშენი მასალით, რის გამო იქ შეუძლებელია ვარჯიშების ჩატარება.

მოძველებულია ფრენბურთისა და კალათბურთის კომბინირებული მოედნის იატაკი, ხოლო ერთადერთი საცურაო აუზი დახურულია რაიონის სანეიდსადგურის მიითიეებით.

ამხანაგო დეპუტატებო!

ადგილობრივი საბჭოების ამოცანაა ოპერატიულად უხელმძღვანელონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. საბჭოებმა მათი საქმიანობა ისე უნდა წარმართონ, რომ ამ დაწესებულებებმა მოსახლეობაში პროპაგანდა გაუწიონ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას და განუმტკიცონ პატრიოტიზმი და მთავრობის პოლიტიკა. ჩაუნერგონ საბჭოთა ადამიანებს პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალური გრძნობა, იბრძოლონ ბაღს შენებაში. კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად, გაავიცელონ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავე გამოცდილება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, დაამყაროონ მეშრომელთა კულტურული მოთხოვნილებანი და ამით ხელი შეუწყონ მათი საზოგადოებრივი და საწარმოო აქტივობის ზრდას.

სკკპ XXIV ყრილობამ მოითხოვა, რომ ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება მუშაობდეს მაღალ იდეურ დონეზე, აქტიურად მონაწილეობდეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში, ეყრდნობოდეს ფართო აქტივს, იქცეს მშრომელთა კულტურისა და დასვენების ნამდვილ კერად.

ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებს აქვთ კულტურულ მშენებლობაში, თავდაცვი დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაში, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში მასების ჩაბმის დიდი გამოცდილება.

უფრო ნაყოფიერი და მრავალფეროვანი გახდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფორმები და მეთოდები. ამას დიდად შეუწყო ხელი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებამ. უფრო მიზანსწრაფული, შინაარსიანი გახდა სალექციო პროპაგანდა, თემატური საღამოები, თეორიული კონფერენციები, შეხვედრები პარტიისა და შრომის ვეტერანებთან, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომების გმირებთან, რესპუბლიკის წარჩინებულ ადამიანებთან, ლაშქრობები საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში. გაუმჯობესდა თვალსაჩინო აგიტაცია. ეს მუშაობა განსაკუთრებით გაფართოვდა ახლა, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

სოციალისტური ქანონიერების განმტკიცება მუდმივი ამოცანაა

ამხანაგო დეპუტატებო!

კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობის ამოცანები, სოციალისტური საზოგადოების ურთიერთობის სრულყოფა მოითხოვენ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლებას. ახლა, როცა საბჭოთა ხალხი სოციალისტური საზოგადოების განვითარების პირობებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ეწევიან ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების დიდ ამოცანებს, სულ უფრო მეტად იზრდება დისციპლინის, ორგანიზებულობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის მნიშვნელობა.

ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიუთითებდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ სამართალს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში. ჩვენი საბჭოთა კანონები გამოხატავენ პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითად მიმართულებას, ისინი გამოხატავენ საბჭოთა ხალხის ინტერესებს და ნება-სურვილს. ამიტომ არის, რომ კომუნისტური პარტია სათანადო ღონისძიებებს ახორციელებს ჩვენი კანონმდებლობის სრულყოფისათვის, იმისათვის, რომ კანონმდებლობა შეუსაბამოს სოციალისტური საზოგადოების ახალ მოთხოვნებს, მტკიცედ დაიცვას მართლწესრიგი დამნაშავეობასთან ბრძოლა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ჩვენი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში აღნიშნულია: „საზოგადოებრივი აზრი უფრო მტკიცედ უნდა წარმართოთ შრომის დისციპლინის დარღვევის, მომხვეჭელობის, მუქთახორობის, დატაცების, მეკრთამეობის, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. საჭიროა განვაგრძოთ ბრძოლა ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის ყველა გადმონაშთის წინააღმდეგ“. ეს მთლიანად გამომდინარეობს საბჭოთა ხალხის, როგორც ახალი სოციალურ-პოლიტიკური ერთობის ინტერესებიდან, რომელიც მოითხოვს დამნაშავეობის მთლიანად აღმოფხვრას ჩვენს ქვეყანაში.

რესპუბლიკის ადგილობრივმა საბჭოებმა, აღრეცელებენ რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, მიაღწიეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას. საგამომძიებლო პრაქტიკაში მეცნიერულ-ტექნიკურ საშუალებათა წარმატებით გამოყენებამ გაუმჯობესა გამოძიების ხარისხი და შეამცირა მისი ვადები. სამართალდარღვევის თავიდან აცილებისათვის საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების ერთობლივი ღონისძიებების შედეგად დანაშაულობათა რიცხვი ჩვენს რესპუბლიკაში განუწყვეტლივ მცირდება, განსაკუთრებით ისეთი დანაშაულობებისა, როგორიც არის ძარცვა, მკვლელობა, პირადი საკუთრების გაქურდვა, ხულიგნობა და სხვ.

ზეკრთულ გაეროვანეთის აღგილობრივი საბჭოების უფლებები და მოვალეობანი კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში

მშრომელთა მასების აღზრდა არასოდეს არ ყოფილა საბჭოთა სახელმწიფოს მარტოოდენ სპეციალური ორგანოების — განათლების, უმაღლესი განათლების, კულტურისა და სხვა სამინისტროების საქმე. ხალხის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის, მისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრის, მათში საუკეთესო თვისებებისა და გრძნობების ჩანერგვის, სამშობლოსადმი, პარტიისადმი სიყვარულის, ხალხთა მეგობრობისა და სოციალურობის, პოლიტიკური და საქმიანი აქტივობის, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კეთილსანდო დამოკიდებულების ფორმირებას, ეროვნული ენა-ფილოსოფიის, ეროვნული ფსიქიკის, ეროვნული ხასიათის, ეროვნული ფერისცვალებისა და ეროვნული ბედნიერების ფორმირებას

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

ამხანაგ შ. დ. კიკნაძის მოხსენების დასასრული

ადგილობრივმა საბჭომამ მტკიცე და შეუპოვარი ბრძოლა უნდა გამართონ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, შეიმუშაონ კოლექტივებსა და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფარ-თოდ გაშლის, ალკოჰოლიზმის საწინააღმდეგო პროპაგანდის გაძლიერების, საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ზემოქმედების ეფექტიანი კონკრეტული ღონისძიებანი.

ლოთობის წინააღმდეგ უნდა შეექმნათ შეურიგებელი, უკომპრომისო საზოგადოებრივი აზრი. თვალსა ჩვენმა მოწინავე, შეგნებულმა საზოგადოებრიობამ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს მას.

როგორც ცნობილია, ამ დღეებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის სამინისტროებისაგან, კინემატოგრაფის სახელმწიფო კომიტეტისა და სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებისაგან, ადგილობრივ საბჭოებთან ერთად განსოფლიონ ყველა საჭირო ღონისძიებანი მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუჯობესებისა და მშრომელთა კულტურული დასვენების ორგანიზაციისათვის.

გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ აგრეთვე ადამიანთა შეგნებაში ჯერ კიდევ შემორჩენილ წარსულის მავნე გადმონაშთს — მუქთახორობას, ცრურმორწმუნეობის დროჰამედ ზნეჩვეულებათა გამოვლინებებს, ცალკეული სოფლების რელიგიურ დღესასწაულებს, ხალხმრავალ ქელეხებს, ქორწილებს, რომელსაც ზოგჯერ ათასობით კაცი ესწრება და ხშირად ღრეობად იქცევა, რასაც თან ახლავს ჩხუბი და მკვლელობაც კი. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ ძველი ჩვეულების აღმოსაფხვრელად საჭიროა ხანგრძლივი, შეუპოვარი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, მებრძოლი ათეისტური პროპაგანდა, რომელიც, სამწუხაროდ, ყველგან როდი ხორციელდება.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ისეთი სამარცხვინო მოვლენაც, როგორიც არის ნარკოტიკების გამოყენება. საჭიროა, რომ ადგილობრივმა საბჭოებმა საზოგადოებრიობასთან ერთად გაბაღონ ფართო და უღმობელი ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანიტარულ კულტურას. მაგრამ ზოგან საბჭოები ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში ადგილი აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების მეტად ხერიოზულ დარღვევებს.

უხეშად ირღვევა სანიტარული წესები აგრეთვე საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე. ქ. თბილისში, ქუთაისში, სოხუმში და სხვაგან ბევრი ქუჩა, სკვერი, მოედანი, ეზო არ სუფთავდება, რაც იწვევს ციურ დაავადებათა გავრცელების საშიშროებას ქმნის.

იშვიათი შემთხვევა როდია, რომ ადგილობრივი საბჭოების მუშაკები ურიგდებიან სანიტარული წესების დარღვევის ფაქტებს. ისინი სათანადო მოთხოვნილებას არ იჩენენ იმ მუშაკების მიმართ, რომლებსაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქალაქის, სოფლის სანიტარული მდგომარეობისათვის. მოსახლეობა სუსტად არის ჩაბმული მაღალი სანიტარული კულტურისათვის ბრძოლაში.

ზესტაფონის, წყალტუბოს, მახარაძის, გაგრის, ბუდუთის, ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობათა სარძეოსაყანოო ფერმებში ადგილი აქვს სანიტარულ-ტექნიკური და სანიტარულ-ჰიგიენური წესების უხეშ დარღვევებს.

ნაკლები ყურადღება ექცევა სანიტარული მდგომარეობის გაუჯობესებას შავი ზღვის სანაპიროზე, რომელიც, სამწუხაროდ, ბევრ ადგილას გაბინძურებულია.

ახლა, როდესაც ბევრმა საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭომ ვალდებულება იკისრა გადააქციოს მშობლიური ქალაქი, სოფელი, დაბა მაღალი კულტურისა და სანიმუშო წესრიგის დასახლებად, საჭიროა ვიზრუნოთ თვითეულ ქალაქსა და სოფელში სანიმუშო სანიტარული წესრიგის დამყარებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო!

ცნობილია, რაოდენ დიდ ყურადღებას უთმობენ ჩვენი პარტია და მთავრობა მიწის სწორად გამოყენებას.

ჯერ კიდევ 1969 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განხილა მიწათსარგებლობის წესის დარღვევის, ინდივიდუალური სახლების უკანონოდ მშენებლობის, ყიდვა-გაყიდვის ფაქტები, რომლებიც მოხდა მცხეთის, ვარდანის, დუშეთის, გურჯაანისა და სხვა რაიონებში. მაგრამ ინდივიდუალური სახლების თვითნებურად აშენების ფაქტები კვლავ გვხვდება.

მახარაძის რაიონის დაბა ურეკის ტერიტორიაზე რაიაღმასკომის უკონტროლობის შედეგად დაშენებულ იქნა სახლების უკანონო მშენებლობა, რის გამოც მკაცრად იქნენ დასჯილნი მახარაძის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. გობრონიძე და სხვები.

უკანასკნელად სერიოზული დარღვევები გამოვლინდა აგრეთვე მცხეთის რაიონის სოფ. ცხვარიჭამიას ტერიტორიაზე. როგორც ცნობილია, ეს ტერიტორია გადაეცა ქ. თბილისის ლენინის რაიონის სამრეწველო საწარმოების მუშათა კოლექტიური მებაღეობისათვის. მაგრამ კოლექტიური მებაღეობის ნაცვლად ამ ტერიტორიაზე აშენებულია მრავალი კაპიტალური საბაგარაკო სახლი.

ეს და სხვა მსგავსი ფაქტები იმაზე მიუთითებენ, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა საბჭომ დაივიწყა მიწათსარგებლობის და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის კანონი და არ მიიღო გადამჭრელი ზომები დაშვებულ დარღვევათა აღსაკვეთად.

ადგილობრივმა საბჭოებმა მკაცრი კონტროლი უნდა გაუწიონ იმას, თუ როგორ სრულდება მიწათსარგებლობის კანონი, იზრუნონ თვითეული მეტარი მიწის რაციონალურად გამოყენებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო!

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იქ, სადაც კარგად არის დაყენებული მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა, ნაკლებად ეხვედრით მართლწესრიგის დარღვევებს, უმეტესი არის უზრუნველყოფილი საბჭოთა კანონებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა.

ამიტომ ადგილობრივი საბჭოების ამოცანაა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერებისა და სხვა საჭირო ღონისძიებათა განხორციელების გზით ხელი შეუწყონ სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას.

ის დიდი მიღწევები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მეგებიან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს, ახალ ძალებს მატებს მათ პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისაგან, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლებას, ახლანდელი პერიოდი უთუოდ მოითხოვს მთელი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. უნდა ვიაროთ წინ, ვიფიქროთ მომავალზე, როგორც გვასწავლიდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ახორციელებენ რა პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ყოველდღიურად ახალ-ახალ შრომითს წარმატებებს აღწევენ. ისინი სავსებით უჭერენ მხარს ჩვენი პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია საყოველთაო მშვიდობის განმტკიცება.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, მხურვალედ უჭერენ რა მხარს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის საგარეო პოლიტიკურ [illegible] მიერ მიღებული სამშვიდობო პროგრამიდან, რასაც თანმიმდევრულად ახორციელებენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, თავდადებული შრომით ახალ წარმატებებს მოიპოვებენ სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგში.

ამხანაგო დეპუტატებო!

ეჭვი არ არის, რომ დღეს სესიაზე შემოტანილი საკითხის განხილვა და კრიტიკული შენიშვნები, რომლებსაც გამოთქვამენ დეპუტატები, დადგენილება, რომელსაც შეიმუშავებს და მიიღებს სესია, დიდ დახმარებას გაუწევენ ადგილობრივ საბჭოებს მშრომელთა შორის კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის უფრო მაღალ დონეზე დაყენებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავენ მშრომელთა მასებს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო სკკპ XXIV ყრილობის მიერ ჩვენს წინაშე დასახულ დიდ ამოცანათა განხორციელებისათვის. (ტაში).

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიზედვით

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ო. ე. ჩერქეზიას თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-3 სესიაზე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ განსახილველად შემოტანილი საკითხი დიდი და აქტუალური მნიშვნელობისაა.

ჩემს მიერ წარმოდგენილი თანამოხსენება უმაღლესი საბჭოს — კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების მიერ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობისა და საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობის შესწავლის შედეგების განზოგადებაა.

საქართველოს მშრომელების, მისი ახალგაზრდობის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხების აზრები და საქმეები დაკავშირებულია პარტიის XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული ჩვენი დიდი სამშობლოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების გრანდიოზული პროგრამის შესრულებასთან.

საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ყრილობის დახურვის დღეს აღნიშნა, რომ «ეფექტიანია „ქვეყნად ისეთი მორალურ-პოლიტიკური გარემოს დამკვიდრება, რომელშიც ადამიანები ადვილად იგრძნობენ, კარგად იმუშავებენ, დამშვიდებით იცხოვრებენ“.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფას, სოციალისტური დემოკრატიისა და სახელმწიფოებრიობის შემდგომ განვითარებას, ქვეყანაში სოციალისტური კანონიერებისა და მართლმსაჯულების განმტკიცებას.

კანონიერების განმტკიცება მხოლოდ სახელმწიფო აპარატის ამოცანა როდის, „პარტიული ორგანიზაციები, პრაფკავშირები, კომკავშირი, საზოგადოებრივ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობაზე, — ვალდებული არიან ყველაფერი გაკეთონ იმისათვის, რომ უზრუნველყონ კანონების მკაცრი დაცვა, ეაუმჯობესონ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა. სამართლის, კანონის პატივისცემა ყოველი ადამიანის პირად რწმენად უნდა იქცეს“.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ წარმატებს, სოციალისტურ კანონიერებას, რევოლუციურ მართლწესრიგს, ისევე როგორც თალლიდებთან, ხულიგნებთან, მეკრთამეებთან, სპეკულანტებთან და სხვა ანტისოციალურ-ბოდეგრიგ ელემენტებთან ბრძოლაში მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, თუ ამ საქმეში აქტიურად ჩავაბამთ მშრომელთა მასებს. აქედან გასაგებია ის დიდი როლი, რომელიც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, მათ მუდმივ კომისიებსა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეკისრებათ.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცება განუყოფელად არის დაკავშირებული მშრომელთა კულტურის ამაღლებასთან. ვ. ი. ლენინი ყოველთვის ხაზს უსვამდა კანონიერებისა და კულტურულობის კავშირის აუცილებლობას, იგი სოციალისტურ კანონიერებაში, მის ერთიანობაში, კანონების ზუსტ და განუხრელ შესრულებაში ხედავდა სოციალისტური კულტურის განვითარების მნიშვნელოვან პირობას.

მაღალმა კულტურამ, რომელიც ეკრდნობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში მომხდარ სოციალურ და ეკონომიურ გარდაქმნებს, შესაძლებელი გახადა ახალი, სოციალიზმის ეპოქის ადამიანის ჩამოყალიბება.

თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოციალურ გარემოსა და ცხოვრების პირობებს ადამიანის ბუნებაზე აქვთ ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, მარტო მათ თავისთავად არ შეუძლიათ უზრუნველყონ ადამიანთა ყოველმხრივი განვითარება, მეცნიერული ცოდნის სისტემით და მტკიცე კომუნისტური მსოფლმხედველობით მათი შეიარაღება. ამისათვის აუცილებელია განათლებისა და აღზრდის სპეციალური სისტემა.

ის ფაქტი, რომ ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ თავისუფალი არ არის დამნაშავეთა და კანონის დამრღვევთაგან, იმაზე მიუთითებს, რომ სოციალიზმიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აღმზრდელობითი მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებები აქვთ. ყველგან როდი ეწევიან უკომპრომისო ბრძოლას წარსულის მავნე გადმონაშთებთან, კომუნისტური მორალის ისეთ ანტიპოდებთან, როგორიც არის ხულიგნობა, უსაქმურობა, გამოძალვა, ქურდობა, მეკრთამეობა, ლოთობა და სხვ.

სავსებით ბუნებრივია, როდესაც საქმე ეხება ახალი ადამიანის აღზრდას, ისევე როგორც ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სხვა ასპექტს, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მოზარდ თაობას, ჩვენს ახალგაზრდობას: პიონერებსა და მოსწავლეებს, სტუდენტებს, ახალგაზრდა მუშებს, კოლმეურნეებს, სპეციალისტებს. ახალგაზრდობა კი, 30 წლის ასაკამდე, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენს!

ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის მაჩვენებელია ისიც, რომ მარტო საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წევრადგენლობაში არჩეულია 11 ათასზე მეტი ახალგაზრდა 30 წლის ასაკამდე. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში დეპუტატთა დაახლოებით 15 პროცენტი ახალგაზრდაა.

ახალგაზრდობაზე სახელმწიფოს შეუნელებელი ზრუნვის დადასტურებას წარმოადგენს საბჭოებში ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების შექმნა. ამჟამად რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში მოქმედებს 427 ასეთი კომისია 2.852 დეპუტატის შემადგენლობით. მათი საქმიანობა შესამჩნევად დაეტყო აღმზრდელობითს მუშაობას, ცხოვრების ყველა მხარეს. ახალგაზრდობის საკითხებზე სისტემატურად მუშაობს აგრეთვე საბალნო განათლების 875, კულტურის 95, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების 852 კომისია, რომლებიც აერთიანებენ 10 ათასზე მეტ დეპუტატს, აგრეთვე აღმასკომებთან არსებული აღმინისტრაციული, მეთვალყურე და არასრულწლოვანთა საქმეების 223 კომისია 2.500 კაცის შემადგენლობით.

როგორც ვხედავთ, ეს არის უზარმაზარი არმია, რომლის სწორი გამოყენებით ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიათ ბევრის გაკეთება.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა და კულტურის მუდმივი კომისიის წევრების მიერ რესპუბლიკის 12 ქალაქსა და რაიონში არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობისა და კანონიერების დარღვევის მდგომარეობაზე გაკეთებული ანალიზი, აგრეთვე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის მიერ საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოსთან ერთად ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები მეტად საყურადღებო სურათებს იძლევიან. აი ზოგიერთი მათგანი:

ჩადენილი დანაშაულისა და კანონიერების დარღვევის თითქმის ნახევარი არასრულწლოვანთა იმ კატეგორიაზე მოდის, რომლებიც მოკლებული არიან მშობლების ნორმალურ ყურადღებას. აქედან, მაგალითად, 6 პროცენტი უდედოა, 21 პროცენტი უმამო, 8 პროცენტს არც დედა ყავს და არც მამა, ხოლო 18 პროცენტის მშობლები ან განქორწინებული არიან, ან უკანონო ქორწინებაში იმყოფებიან.

კანონიერების დარღვევის 80 პროცენტი ჩადენილია სამუშაოსა და სწავლისაგან თავისუფალ დროს, ამასთან, კანონიერების დარღვევის 1/3 ხდება ქუჩაში, ხოლო თუ აგიღებთ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას საერთოდ, მისი ნახევარი ქუჩაზე მოდის.

ეს მონაცემები იმაზე მიუთითებენ, რომ ჯერ ერთი, ძალიან ბევრია დამოკიდებული ოჯახზე, მის კეთილდღეობაზე, ხოლო შემდეგ, თავისუფალი დროის სწორ ორგანიზაციაზე.

როგორც ცნობილია, ოჯახი დიდ როლს ასრულებს პიროვნების ჩამოყალიბებაში. ადამიანის ფსიქიკისა და ინტელექტის ფორმირება ოჯახში იწყება. ძნელი დასაჯერებელია, რომელიმე მშობელს სურდეს თავისი შვილი დანაშაგავ იხილოს, მაგრამ აღზრდისათვის მარტო კეთილი სურვილები და ოჯახის მატერიალური კეთილდეგობისათვის საჭირო პირობები როდია საკმარისი. მთავარია თვითონ ამლეკედე მაგალითს ბავშვებს, თვითონ იცავდე სანიმუშოდ საზოგადოებრივ ნორმებსა და კანონებს. ბავშვი ყოველგვარი ეჭვიანის გარეშე ითვისებს ოჯახში გამეფებულ შეხედულებებს, მისთვის მშობლები ყველაზე მაღალი ავტორიტეტია. ამაზე ბევრს ლაპარაკობენ და წერენ. ჩვენ მხოლოდ ვიტყვით, რომ ამ საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, ახალგაზრდობის კომისიებს და ახალგაზრდა დეპუტატებს. ჩვენთვის ბევრი მაგალითია ცნობილი, თუ როგორ ზრუნავენ ახალგაზრდა ოჯახებზე მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, თვითონ დეპუტატები. ახალგაზრდა მშობლებთან საინტერესო მუშაობას ეწევიან ქალაქ თბილისის კალინინისა და ოქტომბრის რაიონებში, ქალაქ ქუთაისში, თელავის, მახარაძის, გორის რაიონებში.

აქ შექმნილია კლუბები მშობლებისათვის, მშრომელთა უნივერსიტეტები, სისტემატურად ტარდება ლექციები აღზრდის საკითხებზე.

უფრო დაწვრილებით მინდა შევჩერდე თავისუფალი დროის გამოყენების პრობლემებზე, ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაციაზე.

კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს როგორც კულტურის, ისე ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების სისტემატური ყურადღების ცენტრშია. ამ კომისიების სხდომებზე სისტემატურად განხილავენ ახალი ადამიანის აღზრდის, მისი კულტურული დონის ამაღლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის, ახალგაზრდობისა და მშრომელთა კულტურული დასვენების საკითხებს.

საჭიროა ახალგაზრდობის აღზრდისათვის, მათი კულტურული დონის თობისათვის უკეთ გამოვიყენოთ კულტურის დაწესებულებები — თეატრები, კლუბები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, პარკები, კინოთეატრები, აგრეთვე სპორტული ობიექტები.

ამხ. შ. დ. კიკნაძის მოხსენებაში მოცემულია მდიდარი ციფრობრივი მასალა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რაოდენობის, ჩატარებული სპექტაკლების, ლექციების, მხატვრული თვითმოქმედების კონცერტების, კინოფილმების ჩვენების, ცალკეულ ღონისძიებებში მონაწილეობისა და დამსწრეთა რაოდენობის შესახებ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა სიამოვნებთ დიდის კულტურის სახლებში, თეატრებსა და მუზეუმებში, დიდ მიდრეკილებას იჩენს ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი.

მთავარია ხელი შეეწყოთ ახალგაზრდობას კიდევ უფრო განავითაროს ეს მისწრაფება კულტურისადმი, დავეხმაროთ სწორი გემოვნების გამომუშავებაში, აღვზარდოთ კომუნისტური ზნეობის სულისკვეთებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მშრომელთა დეპუტატების ბევრი ადგილობრივი საბჭო ყურადღებით კიდევს კულტურის დაწესებულებათა მუშაობას.

შეიძლება მრავალი მაგალითის მოყვანა, როცა თავიანთ სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე ისინი განიხილავენ თეატრების, მუსიკალური სკოლებისა და სასწავლებლების, კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკებისა, მუზეუმების მუშაობის სხვადასხვა საკითხებს, ზრუნავენ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზების განმტკიცებისათვის. მაგალითად, მშრომელთა დეპუტატების გორის რაისაბჭოს აღმასკომმა მარტო 1971 წელს ცხრაჯერ განიხილა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის საკითხი. შედეგად რაიონში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა, ხშირად ეწყობა კულტურულ-მასობრივი და სპორტული ღონისძიებები.

1971 წელს ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის ინიციატივით კულტურის დაწესებულებათა შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, რის შედეგადაც ათმა დაწესებულებამ გაიუმჯობესა საბინაო პირობები, ყველა საკუთარ დაწესებულება აღიჭურვა აუცილებელი ინვენტარითა და დამატებითი შენობით საწერეო მუშაობისათვის.

ბევრი ადგილობრივი საბჭო, რაიაღმასკომების კულტურის განყოფილება, კომკავშირის საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციები ეფექტურად იყენებენ კულტურის ძირითად კერებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ადგენენ კულტ-მასობრივი მუშაობის გეგმებს, ანალიზს უკეთებენ გაწეულ მუშაობას და ნერგავენ მუშაობის მოწონავე ფორმებსა და მეთოდებს.

ამასთან დაკავშირებით ყურადღების ღირსია თბილისის, ქუთაისის, გორის, მახარაძის, ზუგდიდის, ონის, სამტრედიის, თელავისა და სხვა რაიონების ადგილობრივი საბჭოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობა, რომლებმაც შექმნეს კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის საკორდინაციო შტაბები.

სამუშაოსა და სწავლისაგან თავისუფალ დროს კარგად, შინაარსიანად იყენებენ მახარაძის რაიონის ასკანის, გურიანთის, ნასაკირალისა და სხვა სოფლების ახალგაზრდები. ჰაბუკები და ქალიშვილები მთელ თავისუფალ დროს ატარებენ კლუბებში, სადაც მათთვის სისტემატურად ეწყობა დისპუტები, ლექციები, თემატური კონფერენციები, კონცერტები, კინოფილმების ჩვენება-განხილვა, აგრეთვე ბიბლიოთეკებსა და სპორტულ მოედნებზე.

ნაკლები ყურადღება ექცევა სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას შავი ზღვის სანაპიროზე, რომელიც, სამწუხაროდ, ბევრ ადგილას გაბინძურებულია.

ახლა, როდესაც ბევრმა საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭომ ვალდებულება იკისრა გადააქციოს მშობლიური ქალაქი, სოფელი, დაბა მაღალი კულტურისა და სანიმუშო წესრიგის დასახლებად, საჭიროა ვიზრუნოთ თვითეულ ქალაქსა და სოფელში სანიმუშო სანიტარული წესრიგის დამყარებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო!

ცნობილია, რაოდენ დიდ ყურადღებას უთმობენ ჩვენი პარტია და მთავრობა მიწის სწორად გამოყენებას.

ჯერ კიდევ 1969 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განხილა მიწათსარგებლობის წესის დარღვევის, ინდივიდუალური სახლების უკანონოდ მშენებლობის, ყიდვა-გაყიდვის ფაქტები, რომლებიც მოხდა მცხეთის, ვარდანის, დუშეთის, გურჯაანისა და სხვა რაიონებში. მაგრამ ინდივიდუალური სახლების თვითნებურად აშენების ფაქტები კვლავ გვხვდება.

მახარაძის რაიონის დაბა ურეკის ტერიტორიაზე რაიაღმასკომის უკონტროლობის შედეგად დაშენებულ იქნა სახლების უკანონო მშენებლობა, რის გამოც მკაცრად იქნენ დასჯილნი მახარაძის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. გობრონიძე და სხვები.

უკანასკნელად სერიოზული დარღვევები გამოვლინდა აგრეთვე მცხეთის რაიონის სოფ. ცხვარიჭამიას ტერიტორიაზე. როგორც ცნობილია, ეს ტერიტორია გადაეცა ქ. თბილისის ლენინის რაიონის სამრეწველო საწარმოების მუშათა კოლექტიური მებაღეობისათვის. მაგრამ კოლექტიური მებაღეობის ნაცვლად ამ ტერიტორიაზე აშენებულია მრავალი კაპიტალური საბაგარაკო სახლი.

ეს და სხვა მსგავსი ფაქტები იმაზე მიუთითებენ, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა საბჭომ დაივიწყა მიწათსარგებლობის და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის კანონი და არ მიიღო გადამჭრელი ზომები დაშვებულ დარღვევათა აღსაკვეთად.

ადგილობრივმა საბჭოებმა მკაცრი კონტროლი უნდა გაუწიონ იმას, თუ როგორ სრულდება მიწათსარგებლობის კანონი, იზრუნონ თვითეული მეტარი მიწის რაციონალურად გამოყენებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო!

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იქ, სადაც კარგად არის დაყენებული მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა, ნაკლებად ეხვედრით მართლწესრიგის დარღვევებს, უმეტესი არის უზრუნველყოფილი საბჭოთა კანონებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა.

ამიტომ ადგილობრივი საბჭოების ამოცანაა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერებისა და სხვა საჭირო ღონისძიებათა განხორციელების გზით ხელი შეუწყონ სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას.

ეს დიდი მიღწევები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მეგებიან სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს, ახალ ძალებს მატებს მათ პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისაგან, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლებას, ახლანდელი პერიოდი უთუოდ მოითხოვს მთელი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. უნდა ვიაროთ წინ, ვიფიქროთ მომავალზე, როგორც გვასწავლიდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ახორციელებენ რა პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ყოველდღიურად ახალ-ახალ შრომითს წარმატებებს აღწევენ. ისინი სავსებით უჭერენ მხარს ჩვენი პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია საყოველთაო მშვიდობის განმტკიცება.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, მხურვალედ უჭერენ რა მხარს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის საგარეო პოლიტიკურ [illegible] მიერ მიღებული სამშვიდობო პროგრამიდან, რასაც თანმიმდევრულად ახორციელებენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, თავდადებული შრომით ახალ წარმატებებს მოიპოვებენ სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგში.

ამხანაგო დეპუტატებო!

ეჭვი არ არის, რომ დღეს სესიაზე შემოტანილი საკითხის განხილვა და კრიტიკული შენიშვნები, რომლებსაც გამოთქვამენ დეპუტატები, დადგენილება, რომელსაც შეიმუშავებს და მიიღებს სესია, დიდ დახმარებას გაუწევენ ადგილობრივ საბჭოებს მშრომელთა შორის კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის უფრო მაღალ დონეზე დაყენებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავენ მშრომელთა მასებს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო სკკპ XXIV ყრილობის მიერ ჩვენს წინაშე დასახულ დიდ ამოცანათა განხორციელებისათვის. (ტაში).

კომუნისტი
მე-3 გვერდი, ხუთშაბათი, 1972 წლის 15 ივნისი,

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲓᲦᲔᲡ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. შუმანმა სადილი გამართა საფრანგეთში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს პატივსაცემად. სადილის დროს მინისტრებმა სიტყვები წარმოთქვეს.

მ. შუმანმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთი და სსრ კავშირი იმგვარად ავითარებენ თანამშრომლობას, რომ ეს არ იწვევს რომელიმე მესამე მხარის შიშს და მშვიდობის საქმეს ემსახურება. მან აღნიშნა, რომ საჭიროა ორივე მხარემ განაგრძოს ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს დაძაბულობის წყაროების სრულ ლიკვიდაციას ევროპაში, აგრეთვე მსოფლიოს სხვა რაიონებში გაჩაღებული ხანძრის კერების აღმოფხვრას. მ. შუმანმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობა და თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო. მან გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა კვლავაც დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს ევროპის საქმეებში. ეს პირველ რიგში ეხება ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიცაა სრულიად ევროპის თათბირის მოწყობა უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე.

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲜᲕᲐᲕᲚᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲢᲝᲜᲘ. 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ამერიკის პრესა, დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელები სულ უფრო ხშირად უბრუნდებიან იმ საკითხის განხილვას, რომ შესაძლებელია სენატორ ედვარდ კენედის დასახელება კანდიდატად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე.

ეს უმთავრესად, გამოწვეულია იმით, რომ დემოკრატიული პარტიისაგან კანდიდატობის ვერც ერთი წამყვანი პრეტენდენტი, და უწინარეს ყოვლისა მაკკოვერნი, ვერ მიიღებს უმრავლესობას კენჭისყრის პირველ რაუნდში პარტიის ყრილობაზე, რომელიც 10 ივლისს გაიხსნება მიამი-ბიჩში. მაკკოვერნს ვარაუდი, რომ მას მხარს დაუჭერს სენატორი ე. მასკი, რომელიც ბრძოლას გამოეთქმა, ჯერჯერობით არ მართლდება. გარდა ამისა, პარტიაში ძლიერდება მოძრაობა „მაკკოვერნის შესაჩერებლად“ იმის გამო, რომ მისი პროგრამა „ძალზე ლიბერალურია“.

დემოკრატთა ყრილობის გახსნამდე თვეზე ნაკლები დარჩა, პარტიის ხელმძღვანელობაში კი აცხრება დაძაბული ფარული ბრძოლა. პარტიული ბოსები ცდილობენ გამონახონ ისეთი კანდიდატი, რომელიც შეანელებდა განსეთქილებას პარტიის რიგებში და საუკეთესო შანსი ექნებოდა რესპუბლიკელებთან ბრძოლაში პრეზიდენტის არჩევნების დროს მომდინარე წლის ნოემბერში.

ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲚᲝᲑᲐ ᲘᲠᲐᲜᲨᲘ

ᲗᲔᲰᲔᲠᲐᲜᲘ. 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ირანის ჩრდილოეთში კოკისპირული წვიმებთან გამოწვეული წყალდიდობის შედეგად დაიღუპა ექვსი კაცი, დაინგრა ოთხი სოფელი. ყოველივე ამას დიდი ზარალი მოჰყვა. რამდენიმე დღით შეწყდა მოძრაობა თეირან-მაზანდრანის, თეირან-თავრიზის ავტომაგისტრალებზე.

წინელი ლობისა და მზის საზოგადოების რაზმები დახმარებას უწევენ წყალდიდობის გამო დაზარალებულებს.

ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). დასავლეთ იაპონიაში ძლიერმა კოკისპირულმა წვიმებმა დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის 27 პრეფექტურის სოფლის მეურნეობას.

იაპონიის მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის სამინისტროს მონაცემებით, წვიმებისა და მათ მიერ გამოწვეული მეწყერებისაგან სოფლის მეურნეობისა და სანაოსადგურო ნაგებობებისათვის მიყენებული საერთო ზარალი შეადგინა 10 ტრილიონ იენს. განსაკუთრებით მძიმედ დაზიანდა ოკინავა, კიუსიუსა და სიკოკუს კუნძულები.

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲪᲮᲚᲔᲑᲘ

ᲓᲔᲚᲘ. კვლავ დიდი სიცხეებია ინდოეთის ჩრდილოეთ რაიონებში. ზედიზედ ორი დღეა ქრის ძლიერი ქარი, რომელსაც თან მოაქვს ქვიშისა და მტვრის ღრუბლები. თერმომეტრი უჩვენებს 44 გრადუს სიცხეს ცელსიუსით ჩრდილში.

ჩრდილოეთ ინდოეთის ზოგიერთ რაიონში მაერის ტემპერატურა 6 გრადუსით აღემატება ივნისის საშუალო თვიურ ტემპერატურას და 46 გრადუსს აღწევს. ინდოეთის პრესა აღნიშნავს, რომ ასეთი სიცხე ჯამუსა და ქაშმირის შტატში უკვე ოცი წელია არ ყოფილა.

ამ უმაგალითო სიცხის მსხვეერპლთა საერთო რიცხვმა ინდოეთში 720 კაცს მიაღწია.

ᲙᲝᲯᲝᲔᲒᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲔᲕᲐ

ᲙᲝᲰᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ, 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ასი ათასობით კოლორადოს ხოჭო მოედო ამ უკანასკნელ დღეებში დანიის კუნძულების ლოლანის, ბალსტერის, მენის და ბორნჰოლმის სანაპიროებს.

დაუპატეჟებელი სტუმრების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყვანეს დანიის არმიის ქვეგანყოფები. მაგრამ ჯარისკაცები უძლური აღმოჩნდნენ ასეთ არაჩვეულებრივ დესანტთან ბრძოლაში. გაწმინდეს რა მენის კუნძულის ერთ-ერთი სანაპირო უბნის მხოლოდ 500 მეტრი და შეაგროვეს აქ 135 ათასი კოლორადოს ხოჭო, მათ უკან დაიხიეს.

აღგილობრივი ხელისუფალნი, რომლებიც თვალისწინებენ, თუ რაოდენ სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის სოფლის მეურნეობას კარტოფილის ეს პირველი მტერი, აპირებენ საშიში სტუმრების გაწყვეტას ცეცხლსატყორცნთა საშუალებით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲮᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ. ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ Ⴓ. ᲗᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲢᲘᲡ Ⴓ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲫᲔ ᲓᲐ Ⴓ. ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ.

ᲕᲬ. ᲑᲘᲜᲬᲨᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა სენატში გაგზავნა მომდინარე წლის 26 მაისს მოსკოვში ხელმოწერილი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ და სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ.

პრეზიდენტი სთხოვს სენატს დამტკიცოს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ, აგრეთვე სთხოვს კონგრესის ორივე პალატას მხარი დაუჭირონ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დროებითს შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ.

პრეზიდენტ ნიქსონის აზრით, განაცხადა თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა რ. ზიგლერმა, ხელშეკრულება და დროებითი შეთანხმება ხარგებლობას მოუტანს არა მარტო ორ ქვეყანას, არამედ მთელ მსოფლიოსაც.

ᲡᲔᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ვიეტნამის ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტის მომხრე სენატორები კვლავ შეეცადნენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უახლოეს დროში გაიყვანოს ამერიკის მთელი ჯარები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან.

დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა სენატში მ. მენსფილდმა შეიტანა კანონპროექტის შესწორება, რომელიც ერძალავს სახსრებიწ ასიგნებას 31 ოქტომბერ შემდეგ სამხრეთ ვიეტნამში შეერთებული შტატების სახელმწიფო ძალებიწ შესახებ.

„თუ მთავრობა იცნობდეწ, რომ აპირებს „წასვლას“ ვიეტნამიდან, ეს შესწორება მხოლოდ დაჩქარებს მისი მიზნის მიღწევას“, — განაცხადა მენსფილდმა კაპიტოლიუმში, სადაც დაიწყო უცნობეთის სახელმწიფოებისადმი დახმარების შესახებ კანონპროექტის განხილვა.

დემოკრატთა ლიდერის შესწორებამ, რომელსაც მხარი დაუჭირა სენატორთა ჯგუფმა, ძალიან ჩაფიქრა ამერიკის მთავრობა. პრეზიდენტმა ნიქსონმა სენატს გაუგზავნა პირადი წერილი, რომელშიც მოუწოდა თარყოს მენსფილდის ინიციატივა, ამასთან მოიმიზეზა, რომ მენსფილდის შესწორება არ შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატების მიზნებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

აქ მოელიან, რომ კანონპროექტსა და სენატორ მენსფილდის შესწორების განხილვა სულ ცოტა ორ კვირას გაგრძელდება.

ᲒᲐᲢᲙᲔᲕᲜᲘᲚᲘ ᲑᲘᲚᲘᲙᲘᲜᲘ.
კარიკატურა გაზეთ „დეილი უორლდიდან“.

ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ თითქმის ისე მოხდა, როგორც ეს აღწერილია არტურ ჰელის რომანში „აეროპორტი“. „დს-10“ სარეისო თვითმფრინავში, რომელიც დეტროიტიდან მიფრინავდა ბუფალოში (ნიუ-იორკის შტატი). აფეთქდა ბომბი, მაგრამ პილოტმა მოახერხა დაჯდომა. 11 მგზავრი დაშავდა, დანარჩენები მხოლოდ შეშინდნენ.

ბომბი აფეთქდა თვითმფრინავის საბარგო ნაკეთეურში აფრენიდან 10 წუთის შემდეგ. ალბათ, სწორედ ამან გადაარჩინა მგზავრები, რადგან ისინი ჯერ კიდევ ქამრებით იყვნენ მიბმული დასაჯდომებზე და აფეთქების ტალღას არ გაეფანტია ისინი სალონში. აფეთქების შედეგად დაზიანდა თვითმფრინავის სამუხრუჭე სისტემა და შასი. ლაინერმა დაიწყო ვარდნა. მაგრამ პილოტმა ბრიუს მაკორმიკმა მაინც მოახერხა დაჯდომა საავარიო ზოლზე.

რეპორტიორებს აცნობეს, რომ აეროიორკის ტელეფონით არავის არ დაურეკია და არ დამუქრებია თვითმფრინავის-აფეთქებით. მომდინარეობს გამოძიება.

...ოგვეიანებით ავიაკომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი აზრით, ბომბი საერთოდ არ ყოფილა „დს-10“ თვითმფრინავზე. უბრალოდ ლაინერის ერთ-ერთი ჯარი ცუდად დაკეტეს, 4000 მეტრ სიმაღლეზე დაირღვა მისი ჰერმეტიზაცია, და დეკომპრესიისაგან მოხდა აფეთქება.

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐ

რომი, 14 ივნისი. (საკლესი). ნეაპოლის მახლობლად საბარგო შემადგენლობასთან ადგილობრივი სამგზავრო მატარებლის შეტაკების შედეგად დაშავდა 20-ზე მეტი მგზავრი.

ᲔᲥᲡᲢᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲚᲮᲕᲔᲕᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ

ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲣᲚᲘ არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ გამოფენის გამწყვანება და განსაკუთრებით მისი ყვავილ-დეკორატიული ნაწილი არა მარტო ფონია პავილიონებში სახვითი და ნატურალური ჩვენებისათვის, არამედ ის საშუალებაც არის, რომელიც მომსვლელთ კარგ განწყობილებას უქმნის.

განსაკუთრებით საპატიო და პასუხსაგებია ოფიციალურ გამოფენის მემეცნარეობა და გამმწვანებელთა. მუშაობა 1972 წლის ახალ გაზაფხულ-ზაფხულის სეზონში.

გამოფენის ტერიტორიაზე, პარკების, სკვერებისა და ბაღ-პარკის ცალკეულ მოწყობილობათა 28 ფრაგმენტში გამწვანების პროგრესული ხერხების შექმნის თავის გამოცდილებას აჩვენებს 10 მოკავშირე რესპუბლიკის 20-ზე მეტი ქალაქი. აგრეთვე რუსეთის ფედერაციის 15 ქალაქი და ავტონომიური რესპუბლიკა.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების, ლატვია და ესტონეთი, ბელორუსიისა და უკრაინის სს რესპუბლიკები, უზბეკეთი და ყაზახეთი, მოლდავეთი, ყაბარდო-მალყარეთის ასს რესპუბლიკა, ქალაქები: მოსკოვი და და ლენინგრადი, რიაზანი, ომსკი და ორეოლი, სოჭი და კისლოვოდსკი, იალტა და ნოვომოსკოვსკი, ნოვოსიბირსკი და ატკარსკი, კუიბიშევი და სარატოვი — ასეთია ჩვენი ექსპონენტების არასრული გეოგრაფია. ეს ნაკვეთები, რომლებიც შეიქმნა 1967 წლის — საბჭოთა სელისუფლების 50 წლისთავისათვის, ექსპონენტთა ძალებით გაუმჯობესებულია დეკორატიულად ძირეულს ხე-ბუჩქნარ და ყვავილოვან მცენარეთა ნარგაობებით, შეესებულია ბაღ-პარკის მოწყობილობათა თანამედროვე ნიმუშებით, მცირე ფორმის არქიტექტურის ჩათვლით.

სპეციალისტთა და მომსვლელთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საჭართველოს სსრ პარკების ფრაგმენტები. ეს ეროვნული საბაღოსაპარკო ხელოვნების ნამდვილი ნიმუშებია. თვითეული მათგანი შეიცავს განუმეორებელ ეროვნულ კოლორიტს.

ზაფხულში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბაღს რომ ინახულებს, რომელიც გამოფენის № 3 გუბერას იქით არის, თვითეული მოსვლელი მიიღებს წარმოდგენას ამ ზღაპრული მხარის ბუნებრივ და არქიტექტურულ თავისებურებაზე.

სასუვენირე კიოსკის მსასალ და არქიტექტურული სახე სვანეთის ცნობილი კოშკების რადაც ნიმნების შეიცავს, ხოლო მოჩუხჩუხე ნაკადულზე გადებული ბოგირი თიმქოს პუშკინისა და გრიბოედოვის დროიდან „ჩამოსულა“ ჩვენთან მაღალი მთებიდან.

შემთხვევითი როდია, რომ ამ პროექტის ავტორსა და უშუალო შემსრულებელს არქიტექტორ გ. მანაგაძეს გამოფენის ოქროს მედალი მიენიჭა.

ზარსულ წლებთან შედარებით თვისებრივი ცვლილებები მოხდება ტერიტორიის დანარჩენი ნაწილის გამწვანებაშიც.

ყვავილებით გაფორმებაში წამყვანი ვარდის კულტურა 25 ახალი ჯიშით შეივსება, და ასლა 66 ათასი ვარდი 203 ჯიშით იქნება წარმოდგენილი.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება სხვა ყვავილოვან-დეკორატიულ მცენარეთა: ტიტას, ფლოქსის, იასამნის ჯიშობრივი „შემადგენლობა.

განზრახულია მოეწყოს სამამულო სელექციის გეორგინების 250 საუკეთესო ჯიშის დათვალიერება.

სულ გამოფენის ტერიტორიის ჯაფორმრმებში გამოყენებული იქნება 1 მილიონ 200 ათასი სხვადასხვა ყვავილი, გარდა ვარდებისა.

მემეცნარეობის შვიდი საექსპონატო ნაკვეთის ექსპოზიცია მინდვრის, საკვები, ბოსტნეული, სხეკვინროვანი, სამკურნალწამოო, ეთერზეთოვანი და თაფლოვანი კულტურების საუკეთესო მაღალმოსავლიანი ჯიშებისა და სამამულო სელექციის ჰიბრიდების თავისებური დათვალიერებაა.

მ. ᲚᲐᲠᲙᲘᲜᲘ.
მეთოდისტი.

ᲒᲐᲚᲔᲢᲘ „ᲐᲜᲐ ᲙᲐᲠᲔᲜᲘᲜᲐ“

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა რ. შჩედრინის ახალი ბალეტის „ანა კარენინას“ პრემიერა, ეს კომპოზიტორის მესამე ბალეტია, რომელიც ამ სახელგანთქმულ სცენაზე დაიდგა.

სპექტაკლი დადგეს ლენინური პრემიის ლაურეატმა მ. პლისეცკაიამ, ბალეტმაისტერებმა ნ. რიეენკომ, ვ. სმირნოვ-გოლოვანოვმა. მათთან ერთად მუშაობდნენ დირიჟორი ი. სიმონოვი, მხატვარი ვ. ლეგენტალი.

წამყვანი პარტიები შესრულეს მ. პლისეცკაიამ (ანა), ნ. ფადეიჩევმა (კარენინი), მ. ლიეპამ (ვრონსკი), ნ. სოროკინამ (კიტი). (საკლესი).

ᲔᲥᲡᲢᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲘ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲓᲘᲐᲓ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲘ

ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ

ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚ-ᲙᲣᲨᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲠᲘᲒᲐ. 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ). დღეს რიგის ოფიცერთა სახლის „ოქროს დარბაზში“ გაიმართა ნ. გაფრინდაშვილ-ა. კუშნირის მატჩის მორიგი — მეცამეტე პარტია. თეთრებით თამაშობდა მოსფლიოს ჩემპიონი.

როგორც ყოველთვის, მან თამაში მეფის წინა პაიკით დაიწყო, ხოლო კუშნირმა კიდევ ერთხელ აირჩია სიცილიური დაცვა. დებიუტის შედეგად შეიქმნა რთული პოზიცია თეთრებისათვის უკეთესი პერსპექტივით.

ნ. გაფრინდაშვილი უტევდა ამ დებიუტში კარგად ცნობილი გეგმის მიხედვით, მაგრამ თანდათანობით შავებმა შეძლეს მდგომარეობის გათანაბრება. მეტოქეები ხანგრძლივად ფიქრობდნენ თვითეულ სვლაზე და ცაიტნოტში აღმოჩდნენ. 35-ე სვლაზე გაიცვალა ლაზიერები. ამის შემდეგ თამაში გადავიდა ენდშპილში, სადაც მეტოქეებს ორ-ორი ეტლი და თითო მხედარი დარჩათ. დროის სიმცირის მიუხედავად ორივე მხარე ზუსტად თამაშობდა. თეთრებმა არ მოისურვეს ორმოცდა მეერთე სვლის ჩაწერა და დაფაზე გაკეთეს იგი. ხვალ ჩაიწერა უკვე კუშნირმა.

ხვალ ეს პარტია უნდა დამთავრდეს ლატვიის ცენტრალურ ხაჭადრაკო კლუბში.

XIII ᲗᲐᲠᲗᲘᲐ

ნ. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ — Ა. ᲙᲣᲨᲜᲘᲠᲘ

ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

1. e4 c5 2. Აf3 e6 3. d4 cd 4. Ⴓd4 Ⴓc6 5. Ⴓc3 d6 6. Კe2 Ⴓf6 7. Კe3 Კe7 8. f4 Კd7 9. 0-0 0-0 10. Ⴓgh1 a6 11. ᲙdᲐ b5 12. ᲚcᲐ Ⴓ:d4 13. Კ:d4 Კc6 14. ᲚhᲐ g6 15. Თae1 b4 16. Ⴓd1 Ⴓh5 17. Ⴓe3 ᲙᲒ 18. Კ:Გ Ლ:Გ 19. e5 Ⴓe7 20. Ⴓg4 Ⴓgh8 21. ed Ⴓ:d6 22. Ⴓe5 ᲙᲑ7 23. ᲚhᲐ Ⴓg7 24. Კe2 Ⴓf6 25. ᲙᲒ3 Კ:Გ3 26. Თ:Გ3 Ⴓd2 27. ᲚᲒ2 Ⴓd5 28. a3 a5 29. ab ab 30. Ⴓb3 ᲗfᲑ8 31. Ⴓd3 Ⴓb5 32. Თed1 Ⴓc8 33. Ⴓd4 Ⴓc5 34. g3 Ⴓd5+ 35. Ⴓ:d5 Ⴓ:d5 36. ᲗC1 f6 37. Ⴓf3 Ⴓgf7 38. Ⴓd4 Ⴓc4 39. ᲗC1 ᲗaᲒ 40. ᲗC2 ᲗbᲒ 41. Ⴓg2.

გადადებული პოზიცია: თეთრები — Ⴓg2, Ⴓd3, ᲗC2, Ⴓd4, პ-ბი: b2, c2, f4, g3, h2 (9) შავები — Ⴓgf7, ᲗbᲒ, Ⴓc4, Ⴓd5, პ-ბი: b4, e6, f6, g6, h7 (9).

Გ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲔᲚᲘ,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ᲑᲣᲜᲘ. ბელგიის ქალაქ ანდერლეხტში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი **სსრ კავშირისა** და **უნგრეთის** ნაკრებ გუნდებს შორის.

მსაჯის **ᲒᲚᲝᲜᲑᲔᲠᲘᲡ** (გდრ) სასტვენის ხმაზე საბჭოთა გუნდი მოედანზე გამოვიდა ასეთი შემადგენლობით: **რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხუციელავა, კაპლინი, ისტომინი, კოლოტოვი, ტროშკინი, კონკოვი, ბაიდაჩნი, ბანიშევსკი, ონიშჩენკო.**

ასპარეზობის პირველი ნახევარი ორმხრივი იერიშებით აღინიშნა, ბურთის ბატანის კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ ონიშჩენკოს, კოლოტოვს, ძოძუაშვილს, მაგრამ ანგარიში არ გახსნილა.

მეორე ტაიმის მერვე წუთზე საბჭოთა ფეხბურთელებმა კარგად გამოიყენეს კუთხური და კონკოვმა ანგარიში გახსნა. უნგრელებს მოედანზე გამოჰყავთ გამოცდილი დუნაი და ალბერტი. მათი შეტევები უშედეგოდ მთავრდება — შესანიშნავად თამაშობს მეკარე რუდაკოვი, დაცვა ხურცილავას მეთაურობით. ბანიშევსკის ნაცვლად მოედანზე შემოდის გ. ნოდია. თამაშის 84-ე წუთზე საბჭოთა ნაკრების კარში ინიშნება თერთმეტმეტრიანი. რუდაკოვი იგერიებს მისგან მარცხენა კუთხეში დარტყმულ ბურთს.

ეს მეტად დაძაბული ასპარეზობა დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით — 1:0.

ამრიგად, საბჭოთა ნაკრები ფინალში გავიდა.



ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲘᲓᲘ ცემის ხანატორიუმის ტერიტორიიდან მძღოლმა ჭ. გოგინაძემ თავისი მიზეზით დაგვიანებული ავტობუსი ახლა მთელი სისწრაფით ბორჯომისაკენ გაიქანა. როდესაც მანქანა დაღმართს დაადგა, გზაზე მგზავრებით გაჭედილი ავტობუსი შენელდა.

შემხვედრი ავტობუსის მძღოლმა მყისვე გაიჩერა მანქანა, გზა დაუთმო ავტობუსს, რომელსაც გონცაძე მართავდა. გონცაძემ ავტობუსი უკიდურეს მარჯვენა მხარეს გადაიყვანა, უყურადღებობა გამოიჩინა და მანქანა საგზაო ბოძებს შეეჯახა, გადაბრუნა ისინი და ასე განვლო რამდენიმე მეტრი. ბოლოს ავტობუსი თავისი მგზავრებიანად ხევში გადაიჩეხა. ადგილზე გარდაიცვალა ოთხი მგზავრი, ექვსმა კაცმა მიიღო სხეულის სხვადასხვა კატეგორიის დაზიანება.

თვით მძღოლი ჭ. გონცაძე იოლად გადარჩა. მან სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიიღო.

ავტომოჯირითე ჭ. გონცაძის საქმე განიხილა ქარელის რაიონის სახალხო სასამართლომ და დამნაშავეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

Ზ. ᲛᲔᲡᲔᲜᲒᲘᲡᲔᲠᲘ.

ᲡᲐᲡᲙᲝᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲯᲘᲠᲘᲗᲔ ᲛᲫᲦᲚᲡᲚ—15 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲒᲐ

ᲓᲘᲓᲘ ცემის ხანატორიუმის ტერიტორიიდან მძღოლმა ჭ. გოგინაძემ თავისი მიზეზით დაგვიანებული ავტობუსი ახლა მთელი სისწრაფით ბორჯომისაკენ გაიქანა. როდესაც მანქანა დაღმართს დაადგა, გზაზე მგზავრებით გაჭედილი ავტობუსი შენელდა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

Თ. ᲤᲐᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ და **ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ** — დაისი (მე-5 ამონ. მე-10 წარმოდგენა); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — კოლმეურნის ქორწინება; **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — მოულოდნელი სტუმარი; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ნუ გეშინია, დედა!; **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სიმღერა ტყეში.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ
Ბ. ᲗᲐᲗᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

17 ᲓᲐ 18 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

17 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲮᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲕᲔᲓᲠᲐ
ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ (ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘ) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ)
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 19 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

18 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

ᲠᲔᲒᲑᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ, I ᲯᲒᲣᲤᲘ
„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲛᲐᲘ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ)
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 19 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

ᲑᲘᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡ�წᲐᲠᲘ ᲒᲐᲧᲘᲓᲒᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ 15 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ, ᲝᲗᲮᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲖᲔ 15 ᲓᲐ 16